სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98440642644419

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190048340

რეგისტრაციის თარიღი

17.01.2019 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 2517800 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ცხრამეტი წლის ჩვიდმეტ იანვარს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ინგა ავლახაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ბლეკონი“-ს დირექტორი და სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს შალვა ლეკიაშვილს. აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ინგა ავლახაშვილმა /დაბ. 24.02.1975 წელს, მის. თბილისი, ლ. თაბუკაშვილის ქ. № 19, პ№ 01024029841/ მომმართა.

შევამოწმე ინგა ავლახაშვილის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „ბლეკონი“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B18077127,** ამონაწერის მომზადების თარიღი: 18.07.2018, საიდენტიფიკაციო ნომერი: 406025867 .

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, შპს „ბლეკონი“-ს დირექტორი ინგა ავლახაშვილი უფლებამოსილებას ვანიჭებ შალვა ლეკიაშვილს /დაბ. 27.04.1976 წელს, მის. თბილისი, კ. მესხის ქ. № 15, პ№ 01017013777/ ჩემი სახელით იმოქმედოს შპს „ბლეკონი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 406025867) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი, კორპუსი 48, და განზინებასამართ სადგური „ევროილის“ შორის, ნაკვეთი 26/041 /საკადასტრო კოდი № 01.17.11.026.041/ შენობა-ნაგებობების აშენების ნებართვების აღებასთან დაკავშირებით, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დაშენების/დემონტაჟის ნებართვები, მოახდინოს შენობა-ნაგებობების პროექტირება, შეადგინოს მშენებლობის პროექტები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, წარადგინოს განცხადებები, შეათანხმოს პროექტები, აიღოს ნებართვები, წარადგინოს და მიიღოს დოკუმენტები, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ქ. თბილისის მერიაში, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, გამგეობაში, ზედამხედველობის სამსახურში, გამწვანების სამსახურში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან (უძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე).

მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით, ორიათას ოცი წლის ჩვიდმეტ იანვრამდე.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „ბლეკონი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B18077127,** ამონაწერის მომზადების თარიღი: 18.07.2018;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 10.00 ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 12.00 ლარი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო * GEORGIA * 01001003353 * ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი * NOTARY EKATERINE DZULIASHVILI